ცვლილებები ძალაშია 07.06.2021-დან.

ინტერნეტ-გვერდზე www.procreditbank.ge **განთავსებულ „დამატებით სახელშეკრულებო პირობები“-ში შევიდა შემდეგი ცვლილება-დამატებები:**

<u>1. დამატებითი სახელშეკრულებო პირობების 23[1] მუხლს „დამატებითი პირობები საკრედიტო ხელშეკრულებებისათვის, რომლებიც გაფორმებულია „აწარმოე საქართველოში“ პროექტის ფარგლებში“ დაემატოს შემდეგი შინაარსის ქვეპუნქტები:</u>

1.5. **მიზნობრივი თანადაფინანსება** – პროექტის ფარგლებში მსესხებლისთვის სააგენტოს მიერ პროექტის ფარგლებში დამტკიცებული ნაწილობრივი დაფინანსება სესხის ან მისი პირველი ტრანშის გაცემიდან საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის #365 დადგენილებით განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში.

1.6. **პროგრამის ბენეფიციარი** – მეწარმე სუბიექტი, რომელმაც მიიღო პროექტით განსაზღვრული ხელშეწყობა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის #365 დადგენილებით განსაზღვრული პროგრამით დადგენილი პირობების შესაბამისად და რომელსაც გაფორმებული აქვს სააგენტოსთან შესაბამისი ხელშეკრულება. ბენეფიციარად მეწარმე სუბიექტი მიიჩნევა პროექტის დამტკიცების თაობაზე ბანკის მიერ სააგენტოში შესაბამისი შეტყობინების წარდგენის მომენტიდან.

1.7. სხვა ტერმინებს აქვთ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის #365 დადგენილებით განსაზღვრული მნიშვნელობა.

8. სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში კრედიტ(ებ)ი გაიცემა მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში.

9. მსესხებელი მასთან გაფორმებულ ხელშეკრულებაზე ხელმოწერით აცხადებს, რომ გაეცნო საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის #365 დადგენილებას და მისგან გამომდინარე ბენეფიციარის ვალდებულებებს და იღებს მათი ჯეროვნად და სრულად შესრულების ვალდებულებას. ასევე გათვიცნობიერებული აქვს, რომ აღნიშნული ვალდებულებების შეუსრულებლობის სამართლებრივი შედეგები. მსესხებელი ვალდებულია გაეცნოს ზემოაღნიშნული დადგენილების ნებისმიერ ცვლილება/დამატებას მისი ძალაში შესვლისთანავე და სრულად შეასრულოს მისგან გამომდინარე ვალდებულებები, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

10. გარდა წინამდებარე დოკუმენტითა და ბანკს და კლიენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დადგენილი გარემოებებისა, პროექტის და თანადაფინანსების/სუბსიდირების შეწყვეტა შესაძლებელია მოხდეს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის #365 დადგენილებით და/ან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული საფუძვლებით.